ყოველდღიური გაზეთი

Deuxième année.

ახალი საქართველო

PARIS
31 Juillet 1926
N° 27

Journal Géorgien " LA GÉORGIE NOUVELLE „ — Fondateur : G. Veshapely.
ორკვირეული ორგანო დაარსებული გრიგოლ ვეშაპელის მიერ

პ ა რ ი ზ ი
31 ივლისი 1926 წელი
ფასი 20 კაპ

3, Impasse Crozatier, PARIS-XII | Annonces : 10 frs la ligne | Pour l'Étranger. Un an. . . . . 100 francs Abonnement : 20 frs pour 6 mois | Prix du Numéro : Étranger 10 cents américains, France : 1 fr.

გაზეთ «ახალი საქართველოს» ცალკე ნომრის მიღება გასაცნობად შეიძლება უფასოდ. საკმარისია მისამართის შეტყობინება.

«სოც. სამშობლოს მტრები ვერას დააკლებენ. მშრომელი საქართველო ჩქარი ნაბიჯით განაგრძნობს დაპყრობილ ეკონომიურ-პოლიტიკურ პოზიციების გამაგრებას».

«ახალი საქართველო»

პარიზი 31 ივლისი

გრ. ვეშაპელის მკვლელებს, როცა საზიზღარ ნაბიჯს დგამდენ ალბათ ხწამდათ, რომ მისი სიკვდილით მოკლავდენ იმ გაზეთსაც, რომელშიაც განსვენებული უმთავრეს როლს თამაშობდა. როგორც ყოველთვის, შეცდომა და თავის მოტყუება ეხლაც მათი ხვედრი გახდა... განა ამ ველური მოქმედებით მოკვდება ის საქმე, რომელსაც მთელი თავისი ენერგიით ემსახურება საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი საბჭოთა საქართველოს წინსვლის იდეის გარშემო დარაზმულ ქართველებისა?

არა და არა...

ეს მოვლენა ვერ შეაჩერებს იმ მუშაობას, რომელსაც სულს უდგამს და ანხორციელებს სოციალისტურ სამშობლოს აღორძინებით მთელი არსებით დაინტერესებული ქართველობა.

ამ დასკვნამდე ჩვენ მივედით ღრმა დაფიქრების და განცდების შემდეგ. ჩვენ დავინახეთ საქართველოს დაცემული მეურნეობის გიგანტიური წინსვლა, რომელსაც ხელმძღვანელობს არსებული ხელისუფლება. ქართველი ერი გაბმულია შრომის უღელში. ის აშენებს მტკიცე ხელით მუშურ სახელმწიფოს. მხოლოდ მის აღორძინებას განგებ ვერ ამჩნევენ ემიგრაციაში მყოფი აქტიური მტრები ახალი საქართველოსი.

და მართლაც მხოლოდ ბრმებს და პოლიტიკაში ბრიყვებს ან და იმ ხალხთ, რომელთათვის ინტერეს მოკლებულია ბედი თავისი ქვეყნისა, თუ შეუძლიათ დარჩენ და გაიყინონ ძველ ადგილებზე, ებრძოლონ ქარის წისქვილებს და აშენონ ოცნების კოშკები.

ჩვენ ვიცით, რომ აქ არის ჯგუფი დაგორებული სამინისტრო სავარძლებიდან, რომლებიც თავისი ინდივიდუალურ-ეგოისტურ ტკივილებით ცოდვა ყრის, შველას ითხოვს, ხელ გაწვდილი ევედრება მომმეთა და მეგობართა დაწყებული მეორე ინტერნაციონალიდან და გათავებული მონარქისტული რუსეთის «მესვეურებით». (ამის დამამტკიცებელია წერილები გამოქვეყნებული დღევანდელ ნომერში).

ჩვენ ეს ჯგუფი ნაკლებ გვაინტერესებს, რადგან ის განზრახ უარყოფს თანამედროვე ქართულ სინამდვილეს. ის მოწოდებულია იბრძოლოს მხოლოდ თავისი უფლებისათვის, რომ დაკარგული მინისტრობა დაიბრუნოს. მათთვის სხვანაირად არ არსებობს სამშობლოს გაგება (ეს დამტკიცდა აგვისტოს ავანტიურით).

ჩვენ მივმართავთ მეორე ნაწილს— იმ ხალხს, რომელიც საწუხაროთ ჯერ კიდევ იგვებება პირველი ჯგუფის ბოროტი ზღაპრებით, რომლებიც დღემდე კიდევ უჯერებენ მვირფას სალონებში დამუშავებულ თბილ პროექტებს. აი ამ ნაწილს მოუწოდებთ ზურგი შეაქციონ ყალბ აზრებს და თვალი ადევნონ საქართველოს თანდათანობით სააღმშენებლო პროცესს.

ჩვენ ურჩევთ ამ ხალხს გაუკეთონ სწორი ანალიზი საქართველოს რეალობას, ღრმათ ჩაუკვირდენ ფაქტებს და შემდეგ გამოიყვანონ თავისი დასკვნები. ჩვენ არ ვამბობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება უნაკლოა. პირიქით საჯაროთ ვაღიარებთ ზოგიერთ მის შეცდომებს. მაგრამ გზა იდეური ჩვენ მიერ არჩეული —მტკიცეა, სწორი და ურყევი. ეს გზაა —საქართველოს კულტურულ სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობაში ჩაბმა.

ამ გზას უნდა გაყვეს ყოველი პატიოსანი მოქალაქე, ვისაც უყვარს საქართველო, ვისაც სჯერა მისი მომავალი და ვისაც კიდევ აწუხებს სინიდისის გრძნობა.

დეე «პოლიტიკოსებმა» და იმ ხალხმა, რომლებმაც დაკარგეს ყოველგვარი კაპიტალი, ფასი და ღირსება, ეძიონ ხსნა და კავშირი ევროპის «კეთილშობილ» სახელმწიფოებში. ისინი ვერ შეაჩერებენ ისტორიის წინსვლას.

მშრომელი საქართველო ჩქარი ნაბიჯით განაგრძნობს დაპყრობილ ეკონომიურ-პოლიტიკურ პოზიციების გამაგრებას. ეს ისურვა ჩვენი სახელმწიფოს მთავარმა ელემენტმა-მუშათა კლასმა და თავისივე მადლიანი ხელით თითონვე ანხორციელებს მას.

ვერავითარი მახინაციით, ავანტიურით და მშრომელთა კეთილდღეობის ძირის გამომთხრელ საქციელით ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას ხელს ვერ შეუშლიან.

აღორძინების უტყუარ ლიანდაგზე შემდგარ სამშობლოს, სუბვანციების როსკიპ ევროპიელ ბურჟუაზიის კარებზე მაძიებელი ხალხი, საქართველოს სახელს ბოროტად რომ იყენებს, ვერას დააკლებს...

სოციალისტური სამშობლო განაგრძობს თავის გზას, მას მესაჭედ ბრძოლაში გამობრძმედილი ხალხი ყავს...ის სამშობლოს გავა და ვინც ამ დროს მასთან იყო ღირსეულ შვილად ჩათვლის, გულში ჩაიკრავს...

ჩვენი ქვეყანა დიდი დღესასწაულისათვის ემზადება... დიდ მომავალს ჭედავს ჩაქუჩით და ნამგლით მის წიაღშივე აღზრდილი და მომქმედი მშრომელი საქართველო... სრული გამარჯვება უზრუნველყოფილია, მტერთა თავები თანდათან იჭეჭყება, მიგ მოქცეულ ბროტებასთან ერთად.

ეს დღე და მისთვის წარმოებული მუშაობა სწამს «ახალ საქართველო»-ს!

აქეთკენ მოუწოდებს ის ემიგრაციის პატიოსან და მშრომელ ნაწილს.

ტფილისის უნივერსიტეტი

ელვის სისწრაფით მოედო ჩვენს უნივერსიტეტში შეტანილ ცვლილებების ამბავი ქართულ ემიგრაციას.

«დამოუკიდებელ საქართველოს» რომანისტ-პუბლიცისტები მყისვე კალამს დაეძგერენ; აი თემა, აი შეუდარებელი მასალა.

«ვაი დედასა... სად ივანე და სად თედო».!! მუშტების მკერდზე მიბრაგუნებით და ოხვრით გაიძახიან ქართველი ემიგრანტი-სტუდენტები. მოკლედ... შეიქნა ქრისტეს ტირილი და ემიგრაციის შელანძღული ურემი საშინელი ჭრიალით კიდევ ახმაურდა პარიზის მივარდნილ კუთხეებში.

. ასეთი «პანიკები» და ჭორები მათთვის დაგვილოცია, მაგრამ ჭეშმარიტების დაცვის სურვილი ჩვენ გვავალებს საქმის ვითარება სისწორით გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას.

რა მოხდა? აღორძინებისკენ თუ დანგრევისაკენ მიყავს ჩვენი უნივერსიტეტი შეტანილ ცვლილებებს? შვიდი წელი უკვე გავიდა რაც ჩვენმა უმაღლესმა სკოლამ დაუშრეტელი ენერგიით დაიწყო მუშაობა.. მას საძირკველი ჩაუყარა და დღემდის უხელმძღვანელა ყველა ქართველისათვის კარგად ცნობილმა «ქართველი ერის ისტორიის» მკვლევრეთით აღმდგენმა ბ. ივანე ჯავახიშვილმა. მაგრამ რამდენათ დიდია მისი დამსახურება მეცნიერულ კვლევა—ძიების დარგში, იმდენადვე სუსტია მისი მოღვაწეობის პრაქტიკული მხარე; მან ვერ შესძლო მშრომელი ხალხის ახალ მოთხოვნილებებთან დაახლოვება, მისი მდგომარეობის გარდამქნელ და გამაუმჯობესებელ ინტენსიურ საქმიანობასთან «თავისი» სკოლის შემოქმედების შეგუება. ის დარჩება დიდ-სამეცნიერო ძალად, მაგრამ ამიერიდან საკითხის მეორე მხარეს ახალ რექტორს უთმობს.

ახალი ხანა...

საქართველოს გასაბჭოებამ საფუძვლიანად შესცვალა ქვეყნის სოციალურ—ეკონომიური მდგომარეობა.

დაიწყო სახალხო მეურნეობის გარდაქმნა და მრავალმხრივი სახელმწიფო-სამეურნეო მშენებლობა ახალ პრინციპებზე. ცვლილება შეეხო ჩვენი ცხოვრების ყოველ მოვლენებს და, მათ შორის, სახალხო განათლებასაც. უკანასკნელ დრომდე გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ უმაღლესი განათლება და მისი ცენტრი—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც თავისი აგებულებით არა თუ არ შეესაბამებოდა, არამედ არღვევდა საბჭოთა განათლების ერთიან სისტემას. ამჟამად უნივერსიტეტის განზრახულ რეფორმას მიზნად აქვს უნივერსიტეტის მუშაობა ორგანიულად დაუკავშიროს საბჭოთა განათლებას, საერთოდ საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებას, მის ძირითად მიზნებს და ამოცანებს. ამ რეფორმით ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა. ამიერიდან ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტს ევალება ორი ძირითადი ამოცანა—ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის თეორეტიული გაშუქება და მაღალ კვალიფიციურ მუშაკების და მეცნიერულ ძალების მომზადება კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების პროცესში მყოფ ქვეყნისათვის.

უნივერსიტეტის დანიშნულება...

ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს და მეცნიერულად დაამუშავოს ის მდიდარი მასალა, რომელსაც საბჭოთა საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საერთოდ საბჭოთა კავშირის სინამდვილე იძლევა.

იგი აუცილებლად უნდა ჩაებას საბჭოთა სახელმწიფო აღმშენებლობის, ფერხულში და ხელი მოკიდოს თანამედროვე თეორიულ კვლევა-ძიებას.

როგორ მივაღწევთ მიზანს...

ცხადია, უნივერსიტეტი ვერ დარჩება იმ სამეცნიერო ძალების ამარა, რომელიც მას ამ ჟამად ყავს. პროფესურა უნდა შეივსოს ახალი ძალებით, ახალი მუშაკებით.

განახლებული უნივერსიტეტის ერთს მთავარ მიზანს წარმოადგენს ახალ სამეცნიერო ძალების მომზადება მშრომელთა წრიდან.

ამ მიზნით უდიდესი ყურადღება მიექცევა მეცადინეობის წესიერ დაყენებას ყველა ფაკულტეტებზე. მომავალი სასწავლო წლისათვის განზრახულია ახალი პროგრამის დამუშავება. შემოღებული იქნება ახალი საგნები, რომლის სწავლებას გვიკარნახებს დღევანდელი საჭიროება.

პედაგოგიურ ფაკულტეტთან გაიხსნება ენების დარგი, რომლის პროგრამაში შევა ჩვენი მოკავშირე ერების ენათა შესწავლა.

საფუძვლიანად გადამუშავებული იქნება აგრეთვე სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის პროგრამა და მუშაობის ხასიათი.

სტუდენტთა განვითარების დონის ასამაღლებლად აკადემიური წლის განმავლობაში გაძლიერებული იქნება მიღებულ ცოდნის სისტემატიური შემოწმება და საფუძვლიანი გამოცდის წესები კურსიდან კურსზე გადასვლის დროს.

უდიდესი ყურადღება მიექცევა აგრეთვე უნივერსიტეტში მისაღებ ახალგაზრდების შერჩევას. მიღების დროს უპირატესობა მიეცემა მეტი ცოდნით და მომზადებით აღჭურვილ ახალგაზრდას, რაც ასწევს მათ ღირსებას, მათი მომზადების დონეს.

ჩვენი ერთ-ერთი საზრუნავი საგანი არის აღვჭურვოთ უნივერსიტეტი აუცილებელი ტეხნიკური მოწყობილობით და სათანადო სახელმძღვანელოებით. საამისო ღონისძიება უნივერსიტეტს უკვე მიღებული აქვს.

სტუდენტობის აკადემიურ მუშაობის ნაყოფიერება მჭიდროთ არის დაკავშირებული მის ნივთიერ მდგომარეობასთან. უნივერსიტეტში ჩარიცხული ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომელიც ღარიბი ოჯახებიდან არის გამოსული, დიდ ნივთიერ სივიწროვეს განიცდის.

სახელმწიფო იზრუნებს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

აი რა მოხდა, რაში გამოიხატება ცვლილებები და რას აპირებენ უნივერსიტეტის ახალი მესვეურები.

...მხოლოდ აღორძინებისაკენ მიდის ჩვენი უმაღლესი სკოლა, უეჭველად იტყვის, ჩვენთან ერთად მიუდგომელი მკითხველი.

ამხ. ძერჯინსკი

1877-1926

ამხ. ძერჯინსკი 1877 წელს დაიბადა. განათლება ქ. ვილნას გიმნაზიაში მიიღო. ჯერ კიდევ 18-19 წლ. ის გატაცებით ეძლევა რევოლიუციონურ მუშაობას და 1894 წ. უკვე ლიტვის სოც.-დემ. პარტიის წევრად ჩაირიცხა. 1897 წლამდე ის ჩაბმული იყო სააგიტაციო მუშაობაში, რაც შესწყვიტა დატუსაღების გამო. ჯერ კიდევ 20 წლის ჭაბუკი გადაასახლეს ციმბირში, მაგრამ 2 წლის შემდეგ 1899 წ. ის აზერხებს გაქცევას და ბრუნდება ვარშავაში, სადაც კვლავინდებურად განაგრძობს რევოლიუციონურ მუშაობას.



1900 წელს მეორედ ჩაუვარდა ხელში მეფის ჯალათებს და 5 წლით ხელ-ახლა ციმბირში გადაგზავნეს. გზაში ის ხელახლა გაიქცა და გადმოვიდა ბერლინში.

1906 წელს ის ჩვენ გვევლინება, როგორც რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის ცეკას წევრი. 1908 ამხ. ძერჯინსკი ხელახლა დაატუსაღეს და მესამედ გაგზავნეს ციმბირში, მაგრამ შვიდი დღის შემდეგ ის კატორღას გაექცა. და გაემგზავრა საზღვარგარეთ.

1912 წელს ის სამუშაოდ ჩამოდის ვარშავაში, მაგრამ მეოთხედ დაატუსაღეს და შეუდარებელი მებრძოლი კატორღიდან მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ განთავისუფლდა.

ამის შემდეგ ამხ. ძერჯინსკი სხვებთან ერთად ამზადებს ოქტომბრის რევოლიუციას... მიზანი მიღწეულია და მას წილად ხვდა ყველაზე უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე: საგანგებო კომისიის შექმნა და ხელმძღვანელობა ე. ი. შინაური კონტრ-რევოლიუციის ძირიანად ამოთხრამოსპობა.

მან ეს შესძლო... მისი სახელი შიშის ზარს ცემდა მშრომელთა სახელმწიფოს მტერთა და ორგულთ...

მთელი მისი სიცოცხლე დაუსრულებელი ტანჯვა და ბრძოლა იყო... სული მისი დარჩა შეუდრეკელი, მაგრამ აუტანელმა პირობებმა ის ფიზიკურად მოსტეხეს.

ამხ. ძერჯინსკის სიკვდილი უღრმესი მწუხარებით მოედო მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს... დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ მისი დიდი საქმიდან ჩამოშორება უდიდესი დანაკლისია რუსეთის რევოლიუციისათვის.

ამიტომაც ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს ის უსირცხვილო განგაში, რომელიც უცხოეთის შავმა პრესამ შექმნა ამხ. ძერჯინსკის უეცარი სიკვდილის გარშემო...

ხაროზს მუქთა-ხორათა და მტარვალთა ბანაკი...

გლოვობს და თან მომავალ გადამწყვეტ ბრძოლისათვის მახვილს ლესავს მსოფლიო პროლეტარიატი... და გამარჯვება ხომ ამ უკანასკნელს ეკუთვნის...

და მაშინ ამხ. ძერჯინსკის სახელი კიდევ უფრო გაიზრდება, უფრო ბრწყინვალე შუქებით შეიმოსება...

ინფორმაციის ნიმუში

ამხ. ძერჯინსკის გარშემო უცხოეთის პრესამ ტყუილების საშინელი კორიანტელი დააყენა... ამ საერთო უთავბოლო «კონცერტში» პირველობა რუსის რეაქციონერებს ეკუთვნის... მოედვენ ღობე-ყორეს და ბოლოს იმდენად შესტობენ, რომ სინიდისზე მწყრალად მყოფებმა, ამხ. სოკოლნიკოვი და ლაშევიჩი დატუსაღებულათ გამოაცხადეს... გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ პირველი ამჟამად იმყოფება პარიზში და მეორე კვლავინდებურად განაგრძნობს მუშაობას მოსკოვის სამხ. სარევ. ტრიბუნალში.

კიდევ ოდენკურზე

სოც.-დემ. პარტიის ორგანო «ბრძოლა» მუქარით გვატყობინებდა ოდენკურის სისხლის ღვრის მიზეზების აზლო მომავალში მზის სინათლეზე გამოტანას.

ბრძოლის მწერლები მიკიბ-მოკიბული და ორჭოფული წერილებით შეეცადენ ოდენკურის სისხლის ღვრა თავის პასუხისმგებლობის გარეშე მოექციათ და მიზეზათ «ბოლშევიკური» ხელი გამოეცხადებიათ.

ცხადია მენშევიკები ორგვარ მიზნის მიღწევას ცდილობენ: მათი წყალობით ქართული სისხლის უხვად დაღვრით გამოწვეულ ქართველ საზოგადოების გულისწყრომის თავიდან აცილებას და ჩვენი ხელისუფლების სახელის და ავტორიტეტის დაცემას.

«აი მალე მიუდგომელი სასამართლო თავის სიტყვას იტყვის და დამნაშავეებს აღმოაჩენსო»...

და მართლაც 6 ივნისს სასამართლომ თავისი სიტყვა სთქვა,

ნოე ბასარიძნიძე საჭიროებისამებრ...

მაგრამ «ბრძოლა»-ს იმედები ხავსებით გაცრუვდა... დამნაშავენი მართლაც აღმოჩნდნენ, და ეს ვაჟბატონები ხელთ მარკიანი მენშევიკები არიან..

ეს სიტყვა ფრანგულმა სასამართლომ, იმ სასამართლომ, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ჩვენს სასარგებლოდ მიკერძოება ვერ დაწამებდება.

განაჩენი აშკარად ამბობს: «მენშევიკები თავისი პარტიული გეგემონიის დამკვიდრების მიზნით თავს დაესხენ მცირერიცხოვან ნაციონალისტების ჯგუფს, რასაც შედეგათ სისხლის ღვრა მოჰყვა».

დამტკიცდა ის, რაც უნდა დამტკიცებულიყო და რასაც ჩვენ თავიდანვე ვამბობდით...

ეს მეათე დანაშაულია მენშევიკების მიმდინარე ანგარიშში, ფრანგულმა სასამართლომ რომ აღნიშნა.

მენშევიკებმა თავიდანვე იცოდენ მიზეზი ოდენკურის დანაშაულისა, მაგრამ ჩვეულებისამებრ ისარი, და ისიც უხეიროთ ჩვენსკენ მომართეს.

ჭეშმარიტების დაფარვა არც ისე ადვილი საქმეა; ის ადრე თუ გვიან მზის სინათლეზე მთელის სიგრძე სიგანით ამოტივტივდება. ქართული საზოგადოება ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდა...

ქართველი მშრომელი ხალხის საქმის დამხამარებელ დანაშაულობის რიცხვი იზრდება და არც ვიცით როდის შეჩერდება...

ჩვენ კი ვეტყვით «ბრძოლის» მწერლებს და სულის ჩამდგმელებს: ფრთხილად ბატონებო თორემ მშრომელთა სასამართლოს ვერ გაექცევით და ვაი მას, ვისაც მისი რისხვა თავს დაატყდება.

ოდენკურელი.

საბიუჯეტო უფლება

საქართველოს რესპუბლიკისა

საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა შეიმუშავა ახალი დებულება ადგილობრივი ფინანსების შესახებ; ამ დებულების მიხედვით განზრახულია ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების ერთგვარი განტვირთვა და საშემოსავლო ნაწილების გაძლიერება ახალი წყაროებით.

საქართველოს ფინსახკომმა გამოარკვია, თუ რა შედეგებს გამოიღებს საბჭოთა კავშირის ფინსახკომის მიერ განზრახული ცვლილებები. საშემოსავლო ნაწილების გაძლიერება განზრახულია შემდეგნაირათ: გადიდებული იქნება 10 პროცენტიანი დანართი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მირითად კონტინგენტზე, რაც შემოსავალს გაადიდებს 150.000 მანეთით; სანადირო გადასახადის გადიდებით შემოსავალი გაიზრდება 4.000 მანეთით და სამხედრო უწყებისათვის გაწეულ ხარჯების ანაზღაურებით—438.000 მანეთით.

რაც შეეხება გასავალს, გასავლის ნაწილებიდან გამორიცხული იქნება ყაზარმების კაპიტალური რემონტი, პარტიულ და პროფესიონალურ დაწესებულებების სამეურნეო ხარჯები, მილიციის ჩაცმა და შეიარაღება, სულ 331.000 მანეთი.

ამრიგათ, რესპუბლიკის საერთო რესურსები გაიზრდება 900.000 მანეთით.

მაგრამ განზრახული ცვლილებები შნიშვნელოვნათ ვერ გააჯანსაღებს საქართველოს ადგილობრივ ბიუჯეტებს, რის გამო პროექტში შეტანილია დამატებითი ცვლილებები, რომლებიც გულისხმობენ ზოგიერთი ხარჯების შემცირებას და შემოსავლის დამატებით გაძლიერებას.

ამჟამად რესპუბლიკის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით საბჭოთა კავშირის მთავრობა მათ დეფიციტს ფარავს დოტაციებით და სუბვანციით. ამის გამო რესპუბლიკები იძულებული არიან თავისი ბიუჯეტი ააგონ ამ დოტაციებზე და სუბვანციაზე.

სახელმწიფო კომისიის პრეზიდიუმის აზრით, საბიუჯეტო საკითხი შეიძლება სწორად გადაწყვეტილი იქნეს მაშინ, თუ ადგილებს გადაეცემა ის წყაროები, რომელთა შემოსავალი ისეთივე იქნება, როგორც დოტაცია და სუბვანცია, და რომელსაც იღებს საბჭოთა კავშირის მთავრობა.

საქართველოს სახელმწიფო კომისია ამუშავებს მოხსენებას, რომელშიაც აღნიშნული იქნება, თუ რაში უნდა გამოიხატოს კონკრეტიულად საშემოსავლო წყაროების ხელახალი განაწილება.

საქ. ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ (1926 წ. 23 ივნისს) დაამტკიცა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

თავმჯდომარე: — შ. ე ლ ი ა ვ ა, მისი მოადგილე — ს. ჯ უ ღ ე ლ ი, წევრები: — ალ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი, (მის მონაცვლედ —ძამანაშვილი), გ ე რ მ ა ნ ე მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ინჟ. ბ ე ს. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, გ ი ო რ გ ი ყ უ რ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, არჩილ მიქაძე, ლ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი (მის მონაცვლედ — ი ვ ა ნ ო ვ - კ ა ვ კ ა ზ ს კ ი), მ. კ ა ხ ი ა ნ ი, ლ. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი და მ. ო კ უ ჯ ა ვ ა.

რა ხდება მენშევიკურ პარტიაში

ტფილისის გაზეთ «კომუნისტში» 3 ივლისის ნომრიდან (150) დაიწყო ევროპაში მყოფ მენშევიკ და არა მენშევიკ ემიგრანტების მიწერ-მოწერის გამოქვეყნება. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ წერილების ნაწილის გადმობეჭდვა.

«დესტინატერი» ბ. კ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ა. მას კარგად იცნობს ემიგრაციაში და საქართველოში მყოფი ქართველი საზოგადოება...

ვის არ წაუკითხავს მისი «მარქსისტული» სიბრძნით გამსჭვალული წერილები გაზ. «სოც. დემოკრატ»-ში, რომელიც ს. დ. ცეკას ხარჯზე უხვად ეფინებოდა ივერია-კოლხიდას

ვის არ მოუსმენია მისი «ცეცხლიან-სისხლიანი» მქუხარე სიტყვები ქუთათურ მოქალაქეთ თავს რომ ატეხდა ს. დ. ბატონობის დროს.

მას, სწერენ, მას უზიარებენ თავის აზრებს სხვა საკმაოდ ცნობილი მენშევიკების ფალავანები.

... მენშევიკების შავ, კონტრ-რევოლიუციონურ საქმეებზე, მათ მიერ მშრომელი ხალხის ინტერესების ფეხქვეშ გათელვაზე, გამოვინისტებაზე ჩვენი გაზეთის თანამშრომლები არა ერთხელ და ორჯელ ესაუბრენ მკითხველებს.

... სწერდა ნ. მიწიშვილი... «მოყიდულია, ჯაშუშია» — გაიძახოდენ ნ. რამიშვილი და მისი ავან-ჩავანები. —სწერდა ი. კაჩუხაშვილი —«გათახსირებულია, მექრთამეა და კიდევ მეტი»— სისინებდა კონტრევოლიუცია.

სწერდა გრ. ვეშაპელი —«კარიერისტია» და სხვა და სხვ..

ა. ხელაძე, ვ. ალიხანაშვილი, დემეტრაშვილი და სხვა, ყველას «ტიტული» გამოუნახეს და ცემა-ტყეპით და სიკვდილით გაუმასპინძლდენ.

მაგრამ... მაგრამ... ეხლა ნება მოგვეცით გკითხოთ, ესენიც, ვინც ჯერ კიდევ თქვენს რიგებს ამშვენებენ მოყიდულ-ჯაშუშები არიან?..

... მათი წერილები განა იმასვე არ ამბობენ, რისთვისაც «ჯვარს აცვით» ზემოდ დასახელებული ჩვენი ამხანაგები?

... ვნახოთ როგორ მოხერხებულ ფანდებს მიმართავენ ორთავიან მენშევიკურ იანუსის გარშემო დარაზმული ფანატიკები, ვნახოთ რა მადიან ლუკმას მიიღებენ დღევანდელ და მომავალ «ახალ საქართველოს» ნომერში გამოქვეყნებულ წერილების ავტორები!..

წერილები კ. ჭუმბურიძის სახელზე

მარო მახარაშვილი*)

„ძმაო კოლია!

მივიღე შენი წერილი და ნერვიულობა შენი მეც გადამედო. ცხადია, რომ ასე დიდი ხნით ყოფნა სანატორიუმში გაანადგურებს ადამიანს. ჩამოდი პარიზში, მაგრამ ნუ მოელი, რომ პრაღის ჰაერის გამოცვლა შენ სულიერ განწყობილებას შეხცვლის. აქ შენ ისეთი მეგობრები გყავს, რომ უსათუოდ შეეცდებიან სიცოცხლე გაგიმწარონ. ეს მტერი არც ისე უძლურია და ჩამოსვლის შემდეგ, მე დარწმუნებული ვარ, ბევრ შენს ამხანაგზე გაგიცრუვდება იმედები. რასაკვირველია, მე შენს პარტიულ ამხანაგებზე ვლაპარაკობ. ზოგი მათგანი ლაქიებია, ზოგი კი ინდიფერენტიზმს შეუპყრია.

მოვყვები დაწვრილებით. ალბათ შენ გაინტერესებს და გსურს გაიგო, როგორი განწყობილება სუფევს აქ—ემიგრაციაში. სამწუხაროდ, ვერაფერს მოგწერ საიმედოს. აქ ისეთ ხალხს შეუპყრია თავი, რომ პრაღაში მყოფნი მათ გაცილებით სჯობიან.

აქაური სოციალ-დემოკრატია ორ ბანაკათ არის გაყოფილი. ერთია ოპოზიცია—კაკი წერეთელის მეთაურობით, მეორე ნაწილი იცავს პოზიციას, მისი სულის ჩამდგმელია ნოე რამიშვილი თავისი ჯაშუშებით; არის კიდევ ეგრედ წოდებული ცენტრი, რომელსაც ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და (გაურკვეველია) მეთაურობს. მე ამ უკანასკნელ ჯგუფს ცენტრს ვუწოდებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი ნოე რამიშვილის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. შენ ალბათ გიკვირს საიდან ვიცი მე ასე დაწვრილებით ყველაფერი ეს. მაგრამ ნუ გაიკვირვებ. მე ძველ სოციალ-დემოკრატ მუშებს შორის ვარ, რომლებიც ჩემთან არაფერს მალავენ და ყველაფერს გულწრფელად მეუბნებიან. უნდა გითხრა, რომ წერეთელი თურმე სრულებით არვარგებულა ბრძოლისათვის.

დაკვირვებების შემდეგ მე სავსებით შევისწავლე ნოე რამიშვილი. თავის მიზნების მისაღწევად ის არავითარ საშუალებას არ ერიდება. ამ ხალხს არც პატიოსნება შერჩენია და არც სინიდისი. წერეთელმა უკან დაიხია მას შემდეგ, რაც დამარცხება იგემა, ხოლო მისი ჯგუფი დაიშალა. მე ძალიან მაკვირვებს წერეთელის საქციელი. ის ზედმიწევნით კარგათ იცნობს რამიშვილს და მაინც უთმობს მას; ალბათ არ შეუძლია ბრძოლა. ბევრ მუშას ენატრება სახლში დაბრუნება. მათ გადასწყვიტეს, რომ ემიგრაციაში ვეღარ მოუღებენ ბოლოს რამიშვილის ბატონობას და ამიტომ არჩიეს საბოლოოთ იბრუნონ პირი მისგან.

ერთ-ერთმა მათგანმა მე პირდაპირ მითხრა, რომ მას ბოლშევიკების დიქტატურა ურჩევნია ათას წილად, ვიდრე ნოე რამიშვილის.

«ბოლშევიკები—მითხრა მან—სოციალისტები მაინც არიან, ეს ხალხი კი მონარქიზმის გზით დაექანა»-ო.

მე უნდა გითხრა გულახდილად, რომ მონარქისტებს, რომლებსაც საზოგადოთ ძალიან სძულთ სოციალისტები, ნოე რამიშვილი ძლიერ უყვართ.

საშუალება რომ მქონდეს, ცნობებს მივაწვდიდი ბატონ რამიშვილის შესახებ პრაღის ზოგიერთ მონარქისტებს მათი გულის გასახარებლად.

ასეთია სოციალისტების მდგომარეობა. აი რატომ ინგრევა თქვენი პარტია. თუ ვილაპარაკებთ ტერორზე, დამინებაზე და ლიდერების დიქტატურაზე, ეს თქვენებს უფრო ახასიათებს აქ პარიზში, ვიდრე «იქ».

ეხლა ვილაპარაკოთ ემიგრაციის მეორე ნაწილზე. ესენი არიან ჩვენი ყოფილი თავად-აზნაურები. მათთან არიან ნაციონალ-დემოკრატები. ეს უკანასკნელი სიტყვა შეიძლება შევხცვალოთ «მონარქისტებათ», რადგან მათი ტენდენცია არაფრით არ განსხვავდება მონარქისტულ ტენდენციებისაგან: დღემდის ეს ვაჟბატონები თავიანთ მისწრაფებაზე აშკარათ მაინც არ ლაპარაკობდენ. ეხლა კი უკვე აღარ რცხვენიათ და კრებებზე გარკვეული მოწოდებებით გამოდიან. აი ეხლა მათ ლექცია აქვთ და მე არ მივდივარ, რადგან არ მინდა ავიშალო ნერვები. აი სად მიმაჩნია მე ბოლშევიკების მოქმედება სამართლიანად: ეს ხალხი მართლაც რომ დასაულეტია.

არა, ერთი წარმოიდგინე, ისინი ბაგრატიონებს შორის ეძებენ ტახტის მემკვიდრეს, და ნუ თუ ისინი ჩვენი ხალხის დამცველთა როლში გამოდიან?! აი მხოლოდ ასეთ ხალხთან გვაქვს ჩვენ საქმე, ერთის მხრივ რამიშვილია თავის მპიონებით და ლაქიებით, მეორე მხრივ კი ეს დეგენერატები.

მე უკვე ყველაფერი ვსთქვი, რაც ვიცოდი ადგილობრივ საქმეებისა და არსებულ განწყობილების შესახებ. მეტი რაღა მოგწერო.

ნახვამდის.

15/2—1926 წ.

მარო».

რუბენ ჟიფიანი

«ძმაო კოლია!

ჩვენ მაგრათ ვართ. ჩვენი პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროში თავმჯდომარის მეორე ამხანაგათ აირჩიეს კარლო (ჩხეიძე), მდივნათ კი დათანხმდა იყოს მიშა (არსხენიძე). როგორც ხედავ, საქმე გაჩარხულია. ყოველ ზომებს ვიღებთ, რომ ისევე არ დაგვემართოს, როგორც წინეთ, როდესაც გავტყუვდით. ჩვენი მიღწევები გვარწმუნებს, რომ უკეთესია დავრჩით ორგანიზაციაში. იმის შესახებ, რომ საჭიროა შეერთება და ორგანიზაციაში შესვლა, მე სხვებსაც ვწერ. შენც მეცადე მოუღო ბოლო უთანხმოებას პრაღის ორგანიზაციაში. ვისაც უნდა მოგვცილდეს, ეს ჩვენ არ გვეხება, ჩვენ კი გავაგრძელებთ მუშაობას. მართლა დამავიწყდა მეთქვა, რომ ბიუროში უნდა ამოვირჩიოთ დამატებით კიდევ ორი ამხანაგი. ჩემის აზრით ერთად ამოვირჩევთ გ. ერაძეს. მალე გამოვა გაზეთი. იქ მოთავსებული იქნება კაუცკის წერილი. სპეციალურად ამ ნომრისათვის გამოგზავნა მან წერილი, რომელიც სრულიად ამართლებს ჩვენს თვალსაზრისს. ნოე ჟორდანია რჩება მიღებული რეზოლიუციის ნიადაგზე. რეზოლიუცია გამოქვეყნებული იქნება მახლობელ ნომერში. იქვე იქნება მოთავსებული ირაკლის (წერეთლის) წერილი. ერთი სიტყვით ჩვენ გადაცემებით ვადევნებთ თვალ ყურს, რომ «მათ» ისევ არ დაგვაყენონ ფაქტის წინაშე.»

19 ივლისი, 1925 წ.

შენი რუბენი»

ისიდორე ქარსელაძე*)

«ძმაო კოლია!

როგორც მოგწერე, კვირის სხდომას დაესწრო ჟორდანია. კამათი დაიწყო იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პასუხის შინაარსი «საქართველოს მუშათა კომისიის (ძამანაშვილის მეთაურობით) მოწოდებაზე». ერაძემ თავის სიტყვაში თქვა, რომ «აგვისტოს აჯანყების მეთაური იყო მუშათა კომისიის დაარსება. მე წინადაც ვამბობდი, რომ პარტია შედგა მცდარ ლიპულ და შემცდარ გზაზე ახლა მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. პარტიამ თავისი შემცდარი მუშაობა დაამთავრა 1924 წ. აგვისტოში. ჩვენ აწი აღარ უნდა მოვცდეთ, რომ ჩვენი პარტიის ორგანიზაცია მრავალრიცხოვანი იქნება ბოლშევიკების ბატონობის დროს. მაგრამ ვინც ჩვენთან რჩება, მათ მაინც უნდა ჰქონდეთ ნათლად წარმოდგენილი რა აკეთონ და რა გზით იარონ. უნდა ვიპოვნოთ გზა და გამოვიყვანოთ პარტია ჩიხიდან. ამხანაგო ჟორდანია,—მიმართა მან ნოეს, გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ჩვენს განცხადებას».

ამის საპასუხოდ ნ. ჟორდანიამ უთხრა მას, რომ მას სწორედ ეჭიქოთა ამ საკითხზე, და რომ პასუხი ამ საკითხზე მას მოგროვილი აქვს თავის წიგნში, რომელსაც ჰქვია «პოლიტიკა».

ამ წიგნის ერთი მესამედი წაიკითხა დ. შარაშიძემ. კითხვის გათავების შემდეგ დამატებით შეგატყობინებ ყოველიფერს ამაზე.

შენი ისიდორე»

«ძამანშვილისა და კომპ. საპასუხო წერილზე ერაძემ მოაწერა ხელი მისი შესწორებების შემდეგ. ალბათ, წაიკითხავ ნოე ჟორდანიას წერილი «ბრძოლის» მორიგ ნომერში, სათაურით «ჩვენი ტაქტიკა». ამ წერილიდან შენ დარწმუნდები, რომ ნოე უახლოვდება წერეთლის პოზიციას, შეიძლება კიდევაც გადაასწროს მას.

ვნახოთ.

1 იანვარი, 1926 წ.

შენი ისიდორე»

«მივიღე შენი წერილი. ვიჩქარი გიპასუხო. აქ დიდ ამბებს ქონდა ადგილი. წარსულ კვირაში მოხდა ადგილობრივი ემიგრანტების კომიტეტის არჩევნები. მოვიდა ნოე რამიშვილი თავისი რაზმით. განაცხადეს, რომ ჟორდანია თითქოს ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდაო. ჩემი აზრით ტყუილი თქვეს.

ოსხებ ცინცაძემ (სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, რომელიც ამას წინად არალეგალურად ჩამოვიდა საქართველოდან პარიზში) უარი განაცხადა კომიტეტში მუშაობაზე. მოხდა კომიტეტის კრიზისი და დანიშნულ იქნა მისი არჩევნები. მაგრამ სანამ არჩევნები დაიწყებოდენ, ნ. რამიშვილმა შემოიტანა წინადადება, რომ საჩქაროთ აღიძრას საჭირო «მუშათა კომისიის (საქართველო) საპასუხო წერილის გარჩევაო». უმრავლესობა დაეთანხმა მას და დაიწყო პასუხის კითხვა. კითხვის გათავების შემდეგ რამიშვილმა განაცხადა, რომ ფრიად საჭიროა ამ წერილს ხელი მოაწერონ ძველმა მუშებმა, სახელდობრ: გ. ერაძემ, დ. ფილცხაძემ, ვ. ტეპეშმა. გ. ერაძემ კატეგორიულათ უარი განაცხადა ხელი მოეწერა წერილზე იმ სახით, როგორც ის იყო წარდგენილი.

იგივე განაცხადა ტეპეშმა. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ირაკლიმ (წერეთელი) კვლავ ნახა გამოსავალი. მან შემოიტანა წინადადება: შევკრებილიყავით ლეგაციაში და იქ შეგვედგინა ყველასათვის მისაღებ ფორმაში საპასუხო წერილი. ყველა დაეთანხმა და კრიზისიც დამთავრდა. ამის შემდეგ მოხდა არჩევნები. ჩვენი კანდიდატი (რუბენ ჟიფიანი) გაამაჯვა. ამან ძალიან აღაშფოთა გ. ერაძე და ამხანაგების ერთი ჯგუფის სახელით მან განაცხადა, რომ ახალ არჩევნებს სთვლის აღმაშფოთებლად.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა ოპოზიცია, რომელშიც შედის 17 ამხანაგი და არ მგონია, რომ ის დაიშალოს ნ. რამიშვილის სასიხარულოდ. ამ არჩევნების დროს ოპოზიციამ იჩინა თავი, როგორც დამოუკიდებელმა ჯგუფმა და ეს შენიშნა ნ. რამიშვილმა. ეხლა ის შეეცდება ლიკვიდაცია უყოს ოპოზიციის წევრებს, მაგრამ შესძლებს კი?

ლევილში სცხოვრობენ შემდეგი პირები: ნ. რამიშვილი,

---

*) მარო მახარაშვილი —ემიგრანტი ექიმი ქალია, მიმართულებით ნ. დ. ის ცოლია ყოფილ გორის ტრიბუნალის თავმჯდომარე მენშევიკ კობერიძის. ქ-ნ მაროს ბევრი საპასუხისმგებლო საქმეები აქვს შესრულებული, სხვათა შორის 1921 წელს დავალებით ის ჩამოვიდა საქართველოში, ინახულა სილ. ჯიბლაძე და გააბა კავშირი ცენტრთან.

*) ისიდორე ქარსელაძე არის ემიგრანტი მუშა, ყოფილი გვარდიელი. მანააწყო «ახალი საქართველო»-ს № 1, რისთვისაც «ღირსეულად» დაიტუქსა. როგორც სპეცი, ამჟამად აწყობს «ბრძოლა»-ს, ის იმდენად გავარჯიშებულა წერაში, რომ როგორც მკითხველი ხედავს, ჯერ-ჯერობით მას ყველაზე დიდი ადგილი დაეთმო ჩვენს გაზეთში. როგორც სჩანს მართლაც საქმის კურსშია, რაც მისი წერილების შინაარსით მტკიცდება. სიმართლისათვის შეგნებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა მას მარტო მადლობას მოახსენებს...

ცვლილებები საქართველოს ს. ს. რ. მმართველ წრეებში

მ. ოკუჯავა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად საქართველოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ს. ჯუღე-ლი, მისი განცხადების თანახმად, განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ამ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. მ. ოკუჯავა.

ბ. ჭიჭინაძე

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ამხ. ჟღენტი-კაშვილი, განცხადების თანახმად განთავისუ-ფლებულია საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. ის შეცვალა ინჟ. ბ. ჭი-ჭინაძემ.

ნ. ს. ჩხეიძე, ნოე ცინცაძე, საბახტარაშვილი, თაყაიშვილი ექვთიმე, ს. ფირცხალავა, კ. გოგუაძე, ევა, წერეთელი სი-მონ—პოლკოვნიკი, გიორგი წერეთელი, მიშა არსენიძე, არ-ჩილ არაგნაშვილი, ერმ. ებრალიძე. გ. ერაძე ცხოვრობს კე-რძო ბინაზე.

როგორც მენ, ისე არც მე მინდოდა გალაშქრება ლევი-ლის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერმა ვერ ჩააღმო ჩემში ბრძოლის მოთხოვნილება მათ წინააღმდეგ. მათი გავლენა ჩემზე არ მოქმედობს. შენ ფიქრობ, რომ მატო ბატონ ნო-ევების ფულით არის ნაყიდი—არა, ის ნაყიდია ჩვენი ფუ-ლებითაც, ამიტომ ჩვენც გვაქვს უფლება ვიცხოვროთ ამ სახლში.

ნ. რამიშვილი აქ მარტოდ მარტოა. არავის ის არ უყ-ვარს, მეზობლებთან არის უზრდელი და აღმაშფოთებელი. ნახვამდის.

შენი ისიდორე»

«რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო ვმაგრდებით. ოპოზიციაში არიან შემდეგი პირები: ირაკლი წერეთელი, გიორგი ერაძე, რუბენ ყიფიანი, მიშა არსენიძე, დათიკო ფოფხაძე, მუხუზულა, ტუღუში, ბარნოვი, ხავთასი, ვადა-ჭკორია, ვანო გოგინაშვილი, მარტიან მგელაძე, აზვლედიანი და მე. კარლო ჩხეიძე თავისი მეხედულებით თანდათან გვიახლოვდება, თუმცა ამჟამად ცოტა გვერდზე დგას. ჩემის აზრით, ჩვენ კიდევ დიდხანს ვიქნებით ოპოზიციაში, რათა «მათ» ვაგრძნობინოთ ჩვენი არსებობა. და მე ვფიქრობ, რომ ახალ-მაყალის თავიდან ახაცილებლად ისინი ჩვენ გვი-თმენენ. მე პირადათ განცვიფრებაში ვარ, როგორ გვითმენს ჩვენ რამიშვილი. ეს ხომ დიდმნიშვნელოვანი ფაქტია: პა-რტიულ ორგანიზაციაში ოპოზიციის არსებობა თავისი ცა-ლკე სხდომებით. მე შენ გირჩევ გააბა კავშირი ამხ. წერე-თელთან და ჩვენი ოპოზიციის ყველა სხვა წევრებთან.

1922 წელს საქართველოდან გადმოსახლებულებმა აი-რჩიეს თავის შემადგენლობიდან რამოდენიმე ამხანაგი, რომლებსაც დაავალეს შუამდგომლობა აღძრან კომუნისტე-ბის წინაშე სახლში დაბრუნებისათვის, რომ საზღვარგარეთ მათი, გადმოსახლების ვადა გათავდა. მაგრამ გაიგეს თუ არა ამის შესახებ პირველი მარტის აყალმაყალში ზოგიე-რთმა მონაწილეებმა, დაიწყეს აგიტაცია ამის წინააღმდეგ. აგიტაციის მიზეზია ის, რომ იმედი არ აქვთ, რომ ამნისტია მათზე გავრცელდება. მაგრამ ამით, ვერაფერს გააწყობენ, ვინც მიიღებს ნებართვას ყველა დაბრუნდება.

წერეთელს ხშირად მოსდის წერილები გრიშა ლორთქი-ფანიძისაგან. გრიშამ იცის ოპოზიციის არსებობა. წერე-თლის სიტყვით ის ბევრში ეთანხმება ოპოზიციას, მაგრამ არ ეთანხმება იმაში, რომ ის ყოველ კავშირს სწყვეტს ევროპის დემოკრატიასთან.

შენი ისიდორე».

6/II 1926 წ.

შალვა მაღლაკელიძის წერილი

„ამხანაგო, კოლია! წარსულ კვირაში სოციალ-დემოკრა-ტიული პარტიის წერთა ვიწრო წრეში მოხსენება გააკეთა დანმა, რომელმაც სთქვა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრა-ტიაზე დიდ იმედს ამყარებენ რუსეთის რევოლუციონური და პროგრესიული წრეები და გვიწინასწარმეტყველებენ, რომ ჩვენ მესხვლით ბოლშევიკურ მთავრობას. ამას სიცილით დაამატა დანმა, რომ ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი. შემდეგ დიდი ქებით მოიხსენია ბოლშევიკების მუშაობის მეთოდები და, საერთოდ, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა და ამას მან თვითნაც გაუსვა ხაზი, თითქოს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არც იყო და არც არის არავითარი განსხვავება?. როგორც დანი ამბობს, რ. ს. დ. პარტიის ორგანოს «СОЦИАЛИСТ. ВЕСТНИК-ის გამოცემა შეჩერ დება, თუ სასწრაფოდ არ იქნა გამონახული სახსარი. ძა-ლიან ბევრი ქება შეასხა ებრაელებს (სხვათა შორის, კრებაზე მარტო მე ვიყავი „მართლმადიდებელთაგანი“, დანარჩენი ყველა ებრაელები იყვნენ) და განსაკუთრებით აღნიშნა ებრა-ელ ბურჟუაზიის დიდი როლი, იმათი რადიკალობა და სისტე-მატიური დახმარება «სოციალისტიჩესკი ვესტნიკ»-ს. ეს უკანასკნელი გარემოება ჩემთვის მოულოდნელი იყო.

მოვაწყვეთ დიდი მიტინგი, სადაც გამოვიდნენ ამხ. ლატვი-ელი (სოც. დემკრატი) და დანი. ამ უკანასკნელმა ერთი სი-ტყვა არ სთქვა კომუნისტებზე, რის გამო დიდ მითქმამო-თქმას ქონდა ადგილი ადგილობრივი სოც.-დემოკრატიის წრეებში. დანთან ერთად ამ კრებაზე გამოვიდა საბჭოთა ადგი-ლობრივი სრულუფლებიან წარმომადგენლობის ერთი მსხვი-ლი მოხელე-მუშა, ძველი ბოლშევიკი, რამაც კიდევ უფრო ხელი შეუწყო მას, რომ ეჭვი შეეტანათ დანის მიერ სოცი-ალ-დემოკრატიული პოზიციის დაცვის გულწრფელობაში

ყოველივე ეს ხმები და ეჭვია, მაგრამ, ჩემის აზრით, «Нет дыма без огня». მე ძალიან მაინტერესებს ჩვენების მუშაობა. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლია ჩვენ პარ-ტიას საქართველოს მასშტაბით ითანამშრომლოს კომუნი-სტებთან. ერთი კი უნდა გითხრა, ჩემო ძვირფასო კოლია, რომ ყოველისფერი იცვლება და ამით შეიძლება ბევრი მოგვიტყვონ. თუ ახლა ჟორდანია სხვა გზით წავა, მას, რო-გორც დიდ ბელადს, ბევრს აპატიებენ ჩვენს პარტიაში.ვიცი-რომ ბევრი აყვება მას და შეუძლებელს შეიძლებენ. მე ეს არ მჯერა. ამას უნდა გამოვეთხოვოთ.

მინდა ამხანაგურათ გირჩიო,რომ დროებით მიანებო თავი ყველა საქმეებს, რომლებიც შენ გაღელვებენ და თავი შეიკავო მიმდინარე კინკლაობისაგან. უკეთესია ჯანმრთელობა შეი-ნარჩუნო. ახლა ისეთი დროა, რომ კაცი ფრთხილად უნდა იყურებოდეს გარშემო და სხვისი გავლენის ქვეშ არ მოექცეს.

შენი შალვა»

(გაგრძელება იქნება)



ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძე

ინჟ. ბესარიონ ალექსისძე ჭიჭინაძე (უპარტიო), ზაესის სამუშაოთა უფროსი, ახლად დანიშნული სახალხო მეურ-ნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ, დაიბადა 1887 წ. ტფილისში ცნობილ პედაგოგ ალექსი ჭიჭინაძის ოჯახში.

1913 წ. დაამთავრა ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტი-ტუტი. მას შემდეგ ის დაუღალავ მუშაობას აწარმოებდა სხვა და სხვა პასუხისმგებელ ადგილებზე რკინის გზის დარგში და სხვა...

1923 წლის ივნისიდან იგი აირჩიეს ზაესის კომიტეტის წევრად და ზაესის სამუშაოთა უფროსად; ამ თანამდებო-ბაზე არის იგი დღესაც. გასული წლის გაზაფხულზე ინჟ. ჭიჭინაძე აირჩიეს თბილისის აღმასკომის და საქართვე-ლოს ცენტრალურ აღმასკომის წევრად.

ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძე ენერგიულად მუშაობს აგრეთვე სამეცნიერო დარგში.

1918 წლიდან იგი ირიცხება საქართველოს ტექნიკურ საზო-გადოებაში; შარშან აირჩიეს ამ საზოგადოების თავმჯდო-მარედ.

1922 წლიდან ინჟ. ჭიჭინაძე ითვლება ლექტორად თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ დარგზე. მას დაწერილი აქვს რამოდენიმე სამეცნიერო შრომა და თანამშრომლობს სპეციალურ პერიოდიულ გამოცემებში.

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე საქართველოს სამრეწველო მომავალზე

უმ. სამ. საბჭოს მოქმედების მთავარი გეზი ინდუსტრიის განვითარებაა; რა უნდა ვაკეთოთ? ამაზე პასუხს იძლევა უ. ს. საბჭოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმა.

მე კი ვფიქრობ პირველ რიგში განსაკუთრებული ყურად-ღება მივაქციოთ შემდეგ დარგებს:

1) ცემენტის მსხვილ წარმოებას, რომლის განვითარების პერსპექტივები საქართველოში ეჭვს გარეშეა, რადგან მას-ში ადგილობრივად დიდი მოთხოვნილებაა (ტრანსპორტი და საერთოდ საწარმოო აღმშენებლობა ამიერ-კავკასიაში).

2) მიზანშეწონილი და გეგმიანი განვითარება სატყეო ინ-დუსტრიის.

3) რაციონალიზაცია ტყვიბულის მაღაროების დამუშავე-ბის, რომ სხვა და სხვა ზომების საშუალებით მოხერხდეს ნავთით თბობის ნახშირით შეცვლა.

4) ელექტრონის მმართველობა ს. უმ. საბჭოსთან, რომლის მოვალეობას უნდა შეადგენდეს ამ დარგის მომართვის და მოწესრიგების მეთვალყურეობა.

5) შექმნა მსხვილ იდრო-ელექტრონელ ცენტრის დასავ-ლეთ საქართველოში მდ. რიონზე, რაც განსაკუთრებით უნდა იპყრობდეს ჩვენს ყურადღებას ახალ წარმოებების გაჩაღების და რკინის გზის მომავალ ელექტროფიკაციის გამო.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე დარწმუნებულია, რომ მომავალ წლი-დან შესაძლებელი გახდება ამ დიდ მუშაობის დაწყება.

ჩვენი ქვეყნის აღორძი-ნების საბუთები

ტყვარჩელი

მოსკოვიდან ჩამოსულმა გეოლოგ-ინჟინერთა კომისიამ უკვე დაიწყო მუშაობა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გამოსა-კვლევად. კვლევა-ძიების ადგილზე ამჟამად შენდება შენობა მუშაკთა საერთო საცხოვრებლის და ქვა-ნახშირის გამო-მკვლევ კომისიის კანტორის მოსათავსებლად. უკვე დამთა-ვრებულია დროებითი ბანაკის აგება ხელიქვა-არამიყვარის რაიონში, გაყვანილია ბილიკი სოფელ ტყვარჩელიდან სამუ-შაო ადგილამდე. დამთავრებულია აგრეთვე გეოლოგიური, საკვლევ-ტოპოგრაფიული და სამეურნეო-ადმინისტრატიული ნაწილების სამმართველოთა ორგანიზაცია.

ქვა-ნახშირის მადნების გამომკვლევ გე ოლოგ-ინჟინერთა პარტიის მიერ აღმოჩენილ იქნა სამი მიტოვებული მაღარო, რომელიც ამჟამად ქვებით და მიწით არის ამოვსებული. დაწყებულია აღმოჩენილი მაღაროების გაწმენდა და შეკე-თება. ამ მუშაობის დასრულების შემდეგ დაიწყება ქვა-ნახშირის ამოღება. დაწყებულია აგრეთვე ტყვარჩელის ნა-ხშირით მდიდარი მიდამოების გეოლოგიური დათვალიე-რება.

ალაგ-ალაგ უკვე აღნიშნულია ადგილები, სადაც ამ მო-კლე ხანში დაიწყება მაღაროების ამოთხრა.

მიწის და კლდის სამუშაოებზე მიწვეულნი არიან ადგი-ლობრივი გლეხები. ჯერ—ჯერობით სამუშაო ადგილებზე მოუგვარებელია საკვები პროდუქტების მიწოდების საქმე, რის გამო საკვები პროდუქტების დიდი ნაკლებობაა. აფხა-ზეთის სახალხო კომისართა და ს. მ. უ. ს. მიერ მიღებულია ზომები ამ პროდუქტების საკმარისი რაოდენობით მისა-წოდებლათ.

მაუდის ქარხანა ტფილისში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო თბილისში აგებს მაუდის ქარხანას, რომელსაც წლიურად მოუნდება დაახლოებით 60 ათას ფუთამდე გაურეცხავი მატყლი.

საქართველოში ყოველწლიურად შეიძლება დამზადდეს 100 ათასი ფუთი მატყლი. ამ რაოდენობიდან დაახლოებით 20-27 ათას ფუთს გადაამუშავებს ქუთაისის მაუდის ქა-რხანა. დანარჩენი მატყლი მოუნდება ტვილისში ახაგებ მაუ-დის ქარხანას. მომავალში, მეცხვარეობის განვითარებასთან ერთად, მოსალოდნელია მატყლის დამზადების გაფართოე-ბაც, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტფილისის მა-უდის ქარხნის წარმოების გაფართოებას.

მაუდის ქარხანა აიგება დიდუბეში, იგი ეწყობა ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების თანახმად. აგება იწყება წელს. სა-მეურნეო საბჭო ქარხნისთვს საჭირო მანქანებს იძენს საზღვარ-გარეთ. ქარხანა დასრულდება და მუშაობას დაი-წყებს მომავალ წელში; მისი აგება ჯდება 2 ნახევარი მი-ლიონი მანეთი.

ქარხანაში იმუშავებს 1200 მუშა, ელექტრონის ენერგიას იგი მიიღებს ზაჰესიდან.

ქარხანასთან, სხვათა შორის ეწყობა შესაღები განყოფი-ლება. მოწყობილი იქნება აგრეთვე წყალის დამწმენდი აპა-რატები, რომ მატყლის რეცხვით დაჭუჭყიანებულმა მტკვა-რმა ზიანი არ მიაყენოს მოსახლეობას.

ცემენტის ქარხანა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო კავთისხევში აგებს ცემენტის ქარხანას. ამ ქარხნის აგების საკითხი განიხილა საკავშირო მთავრობამ და გადასდო კი-დეც საგრძნობი თანხა ქარხნის ასაგებათ. ამ თანხას სამე-ურნეო საბჭო მიიღებს ახლო მომავალში.

ცემენტის ქარხნისათვის საჭირო ნედლი მასალა უხვად მოიპოება კავთისხევის მიდამოებში. ეს ნედლი მასალა გამოიკვლიეს გერმანელ სპეციალისტებმა. ანალიზმა მოგვცა საუკეთესო შედეგი: მან დაგვარწმუნა, რომ ცემენტი საუკე-თესო ხარისხის იქნება. ისეთი ხარისხის ცემენტი, როგო-რსაც კავთისხევი მოგვცემს, მთელ საბჭოთა კავშირში არ მოიპოება.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წინასწარი ხარჯთ-აღრი-ცხვით, ცემენტის ქარხნის აგება დაჯდება 1 ნახევარი მილიონი მანეთი.

კავთისხევის ქარხანა წლიურად დაამზადებს 7 მილიონ ფუთ ცემენტს, რაც სავსებით დააკმაყოფილებს საქართვე-ლოს და ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებას. ქარხანა ელე-ქტრონის ენერგიას მიიღებს ზაჩესიდან.

მევინეობა

ღვინის გასაღების საქმეს ჩვენში საგრძნობი გაუმჯობესე-ბა ეტყობა.

ომამდე საქართველოში წლიურად მოდიოდა 7-8 მილიო-ნი ვედრო ღვინო. აქედან 2-3 მილიონი ვედრო საღდებო-და საქართველოს ფარგლების გარეშე, უმთავრესათ რუსე-თში.

რევოლიუციის შემდეგ ღვინის გატანის საქმე ძალიან და-ეცა; გასულ წელს მაგალითად, საბჭოთა კავშირის რესპუბ-ლიკებში და სხვა ქვეყნებში გასასაღებლად დამზადდა 477.500 ვედრო ღვინო.

ღვინის ბაზრის მოსაპოებლად მთავრობამ დაუკლო ღვი-ნის აკციზი.

ამას გარდა დაარსებულია კოოპერატიული ამხანაგობა «საქართველოს ღვინო», რომელიც ყოველმხრივ უწყობს ხელს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას და ღვინის გასაღების საქმეს.

აქავე შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენებური ღვინო თან-დათან იპყრობს რუსეთის ბაზარს და რაც დრო მიდის უფრო იზრდება ჩვენებურ ღვინის მოთხოვნილება. მიმდი-ნარე წელში შეკვეთის მიხედვით საქართველოდან 1 მილ. ვედრო ღვინო გაიტანება.

შუშის ქარხანა

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დადგე-ნილების თანახმად და ბუნებრივი პირობების მიხედვით შუშის ქარხანა გაიხსნება სოფ. ლაშეში (ხარაგოულის ახლო)

პირველ რიგში დამზადდება, შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, 30-40 მილიონი ბოთლი. (ღვინის, ბო-რჯომის წყალის, სპირტის, კონიაკის და სხვა).

ნედლი მასალის მთავარი ნაწილი (თეთრი სილა და ცა-რცი) ხარაგოულის რაიონში უხვად მოიპოება. გლაუბერის მარილი მოიზიდება მუხრავანიდან.

უწერა

აგარაკი უწერა მდიდარია იშვიათი მინერალური წყლე-ბით, რომელიც განსაკუთრებით უხდება მომნელებელი ორ-განოებით დაავადებულ ავადმყოფებს. უწერის „მჟავე წყა-ლი“ განთქმულია მთელს საქართველოში და ამიერ-კავკა-სიაში. ყოველწლიურად დასავლეთ საქართველოდან (განსა-კუთრებით სამეგრელოდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან უწერაში საგარაკოდ მოდიოდა რამოდენიმე ათეული ათასი კაცი. თავის დროს კურორტი უწერა გვარიანად იყო მოწყობილი. იყო დასაბინავებელი სახლები, აბანოები, საბა-ნაო აუზები და სხვა. ხანგრძლივი შეუკეთებლობის გამო საბინაო და სადგომი შენობები მოძველდენ და გაუვარგის-დენ. ამჟამად აგარაკი უწერა საექსპლოატაციოთ გადაცე-მული აქვს სამაზრო აღმასკომს, რომელიც სეზონის დაწყე-ბამდე შეუდგა აგარაკის საფუძვლიან შეკეთებას. თვეზე მე-ტია, რაც მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა დასაბი-ნავებელ შენობების, აბანოების, აუზების და მინერალური წყაროების შეკეთება-მოწყობა. სამკურნალო სეზონი უწე-რაში იწყება ივლისის დამდეგს და გრძელდება ენკენისთვის დამლევამდე.

წყალტუბო

დასრულდა წყალტყუბოს მოხეს გაყვანა. ინტენსიურმა მუშაობამ საშუალება მისცა ამ კურორტზე მიმავალ ხალხს ყოველგვარი «ხიფათის» გარეშე სრული დამშვიდე-ბით ისარგებლოს ამ უებარ ბუნებრივ სამკურნალოთი.

ამჟამად კურორტ წყალტუბოზე მიმდინარეობს გაცხოვე-ლებული საამშენებლო მუშაობა.

ორი კვირის წინად დაიწყო დიდი შენობის აგება ჰიგიე-ნური აბანოს მოსათავსებლად. აბანოს ექნება ორი ქალთა და ვაჟთა განყოფილება.

აქვე ყველა ძლიერ რადიოაქტიურ წყაროებზე № 3, რო-მელსაც ადგილობრივ «კოდის» წყალს ეძახიან, შენდება ახალი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება აბანო მარმა-რილოს ვანებით და ცალკე ნომრებით.

შენობის აგება დამთავრდება მოკლე ხანში. ამჟამად კუ-რორტის ყველა შენობები დაკავებულია სამკურნალოდ ჩა-მოსულ ავადმყოფების მიერ.

ტყის მოშენება

თბ. აღმასკომის სატყეო სექციამ თბილისის გარშემო ტყის გაშენების მიზნით, სუჟუნის ხევში გაიყვანა არხი 22.000 საჟენის მანძილზე. ამ არხის გაყვანის შემდეგ დაი-რგო მუხის ხის ნერგები რომლებიც განსაკუთრებით ხარო-ბენ თბილისის მიდამოებში. სუჟუნის ხევის რაიონის დაქა-ნებული ფერდობები, სახელდობრ მახათის გორიდან ნაძა-ლადევამდე, ამჟამად ამწვანებულია მუხის ნერგებით. მომავალში ეს ადგილები დაიფარება ხშირი მუხის ტყით. ამავე დროს მთაწმინდაზე ჰორიზონტალურ არხებში ჩაი-რგა ცხრა ათასი ცალი ელდარის ფიჭვის ნერგი.

მოსავალი

თელავის მაზრაში ქერის მკა თითქმის დამთავრებულია. ხშირმა წვიმებმა კარგი გავლენა იქონიეს სიმინდის ნათესებზე და ბოსტნებზე.

წნორის წყალში ვენახების მოსავალი წელს საშუალოზე უკეთესი იქნება.

ლაგოდეხში თამბაქოს პლანტაციებს გასულ წელთან შედარებით უკეთესი პირი უჩანს.

ახალციხის მაზრაში კარგი ამინდები დაიჭირა; უკანასკნელ წვიმების დროს ზოგიერთ რაიონებში დაზიანდა ბაღები. საერთოდ ნათესების მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია.

აფხაზეთში სასოფლო მეურნეობის კულტურათა მდგომარეობა საშუალოა.

ა. კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ უსაზღვრო ინტერესი გამოიწვია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

მუშათა ორგანიზაციების და გლეხობის ჯგუფები ათასობით ათვალიერებდა გამოფენის ყველა განყოფილებას.

ჩამოვიდა გლეხობა თითქმის ყველა თემიდან, რომლებსაც ახსნა-განმარტებებს აძლევდენ საგანგებოდ მიჩენილი პირები. საღამოობით საერთო საცხოვრებელში, სადაც პროვინციებიდან ჩამოსული დელეგატები იყვნენ დაბინავებული, იმართებოდა მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე.

საზოგადოება «სასოფლო მანქანა»-მ თავის განყოფილებაში გამართა დიდი დემონსტრაცია.

განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია საკონკურსო გამოცდა, ცალკე რაიონებისათვის ტრაქტორების შესარჩევად.

ამას გარდა, ტრაქტორების გამოცდის დროს მხედველობაში იქნა მიღებული სხვადასხვა სამუშაოებიც, რომლებიც უნდა შეასრულოს ტრაქტორმა. დაწვრილებით იქნა გათვალისწინებული, თუ რამდენად შეიძლება ამა თუ იმ ტიპის ტრაქტორის გამოყენება სატრანსპორტო მუშაობისათვის, ელსადგურების მოსაწყობად და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენას და, კერძოდ, ტრაქტორების გამოცდას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევათ იმ მხრივ, რომ იგი თავიდან აგვაცილებს ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებს თანხების დახარჯვას ისეთ სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, რომლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივად.

გამოფენის მომწყობ კომიტეტს განზრახული აქვს ფართოდ დააყენოს ჩვენში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოცდის საქმე; ამ მხრივ განზრახულია მომავალში სპეციალური გამოსაცდელი სადგურების მოწყობა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში.

ყველა გამოფენილი მანქანები წინასწარ შესწავლილია საექსპორტო კომისიის მიერ, რომელშიაც შედიოდენ ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტები. კომისიამ გამოარკვია გამოფენილი მოტორების კონსტრუქტიული დეფექტები და ღირსება.

კომისიის აზრით, საჭირო იქნება ზოგიერთი კონსტრუქციული ცვლილებების შეტანა ზოგიერთ მანქანებში.

მუშათა განათლება

სიბნელე... უმეცრება... მეუგნებლობა... აი უმთავრესი იარაღები, რომელთა საშუალებით სულდგმულობდა მშრომელი ხალხის წურბლების ბატონობა.

ძირს განათლება, ძირს კლასიური დარაზმვა, ძირს ღრმად შეგნებული კავშირი დაჩაგრულთა რიგების მხრის.

მუშა მანქანის მონა, გლეხი გუთნისა; გარეშე ოფლის ღვრის და პირუტყული ცხოვრებისა მათთვის არაფერი არ არსებობს... სიმშილი, სიტიტვლე, უუფლებობა, მათრახი აი რა იყო ხვედრი მაშვრალთა.

მუშურ გლეხურ ძალაუფლების დამყარებასთან ერთად ძირიან-ფესვიანად შეიცვალა ძველი ბარბაროსობის მასულდგმულებელი სისტემა. მიწა, შრომის იარაღები, უფლება, ყოველმხრივი დახმარება, აი რა მიუძღვნა მუშათა კლასს მისმა მმართველობამ. ყველაფერი მშრომელს, არაფერი მუქთა-ხორას.

მაგრამ ყოველგვარ ნაშთის ერთი ხელის დაკვრით მოსპობა ხომ შეუძლებელია... ჩვენც დიდი სისასტიკით წინ წამოგვეჭიმა საშინელი შედეგი წარსულში სკოლის კარების მაშვრალთათვის მიკეტვისა. რამდენი უნიჭიერესი და პატიოსანი იმდროინდელი ახალგაზრდა დაეკარგა ჩვენს მოწინავე საზოგადოებას იმ ხელოვნურ დაბრკოლებათა გამო, რომელიც მას ხლართიან მავთულის ღობესავით წინ აუშენეს?.. აუარებელი, უთვალავი...

ეს უსამართლობა განსაკუთრებით ჩვენში ნაზულობს გამოხატულობას. ძველიდან ჩვენ მივიღეთ მცირე ჯგუფი საქმიან ინტელიგენციისა, დანარჩენი კი ან «პაგონ-პეტლიცებს» გამოეკიდა, ანდა მშრომელ ხალხს მძიმე ბარგათ დააწვა... ამრიგათ საბჭოთა მთავრობამ მემკვიდრეობათ მეტის-მეტად არასასურველი «განძი» ჩაიბარა: ერთის მხრივ დილეტანტი მოხელეები, მეორეს მხრივ სწავლას მოწყურებული მაგრამ მისგან გარიყული საქარხნო ახალგაზრდობა და დაზგას მიკრული ხელდაკოჟრებული მუშები.

მუშურ-გლეხური მთავრობა ამ დარგშიც შეუდგა უდიდეს მუშაობას და ჩვენ ვხედავთ უკვე განხორციელებულ დაუფასებელ შედეგებს.

ჩვენ მუშათა ფაკულტეტებზე მოგანსენებთ. აი დაწესებულება რომელმაც თავის ხან-მოკლე არსებობის დროს უკვე შეძლო მთელი რაზმი ცოდნით აღჭურვილ კლასიურად გაწვრთნილ თაობისა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოეყვანა..

შეიძლება ეს წერილი ჯერ კიდევ არ დაგვეწერა, რომ პატარა მაგრამ მეტის ნეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენს სამშობლოში ჩვენი ყურადღება არ მიექცია.

ეს რკინის გზის მუშათა ფაკულტეტის კურს დასრულებულთა პირველი გამოშვებაა.

გავიცნოთ ხსენებული ფაკულტეტი, ვნახოთ რატომ გამოიწვია ამ მოვლენამ ჩვენი უსაზღვრო სიხარული.

დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა რკინის-გზის მუშათა ფაკულტეტი. 1922-23 წ. ამ სასწავლებელს უწოდებდენ წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლას, სადაც სწავლობდენ რკინის-გზის მთავარ სახელოსნოს დეპოს, სალიანდაგო სამსახურისა და სხვა დარგის წერა-კითხვის უცოდინარი მუშები.

1923 წლის ოქტომბრის თვეში კი ამ სასწავლებელს მუშამსმენელების სურვილით დაერქვა რკინის-გზის მუშათა ფაკულტეტი.

პირველ ხანებში ამ მუშფაკზე ნაკლებ იმედებს ამყარებდენ რკინის გზის ადმინისტრაცია და პროფკავშირები.

«—რა ნაყოფს მოიტანს ის მუშფაკი, სადაც მსმენელები ანბანიდან იწყებენ სწავლას»,—ამბობდენ ისინი.

ასეთივე თვალსაზრისით უდგებოდა ამ საკითხს განათლების კომისარიატიც, რომელსაც ძალიან ეძნელებოდა რკინის-გზის მუშათა ფაკულტეტის დამტკიცება.

მაგრამ მსმენელებისა და მასწავლებლების მუყაითი მუშაობით, რკინის-გზის ფაკულტეტმა დაუმტკიცა ყველას, რომ თუ ტფილისის რომელიმე სასწავლებელი ღირსია მუ-

ძველი რევოლიუციონერები, რომლებმაც დაასრულეს მუშათა ფაკულტეტი

შათა ფაკულტეტის სახელწოდებისა, ამათში პირველი ადგილი უნდა ეკავოს რკინის-გზის მუშათა ფაკულტეტს. აღნიშნულ მუშფაკის მსმენელების 95 პროცენტი დაზგის მუშებია, რომლებიც რვა საათის ფიზიკურ მუშაობის შემდეგ დაღლილ-დაქანცულები მოდიან სასწავლებელში და ღებულობენ სწავლა-განათლებას.

განათლების კომისარიატმა 1924 წლის პირველ ნახევარში დააკმაყოფილა რკინის-გზის მუშების მოთხოვნილება და დაამტკიცა მუშათა ფაკულტეტი. ამიერიდან მას მიეცა შემდეგი სახელწოდება:» «სახელმწიფო უნივერსიტეტის რკინის გზის მუშათა ფაკულტეტი».

პირველ ხანებში მუშათა ფაკულტეტში ირიცხებოდა 183 მსმენელი. მათ შორის 115 იყო ქართველი, 43 რუსი, 12 სომეხი და სხვა ეროვნების 13. 1924 წელს, მუშათა ფაკულტეტის დამტკიცების შემდეგ, ეს რიცხვი 195-დე ავიდა. სწავლის მსურველი მუშები ძალიან ბევრი იყო და არიან ეხლაც, მაგრამ უადგილობის გამო მუშფაკი ვერც მაშინ და ვერც ეხლა ვერ აკმაყოფილებს ყველას.

ამჟამად მუშათა ფაკულტეტში ირიცხება 260 მსმენელი. მათ შორის 230 მამაკაცია და 30 ქალი.

ამას გარდა, 1924 წლის დამლევს მუშფაკთან დაარსდა ძველ რევოლიუციონერთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დეკანი ამხ. ი. იობიძე.

ამ ჯგუფში ირიცხებოდენ ამხ. არაქელა ოქუაშვილი, მიხა ჩოდრიშვილი, ერმილე კალანდაძე და სხვა ძველი რევოლუციონერები. ამისათვის ამ ჯგუფს უწოდებდენ «მოხუც ფაკს».

რკინის გზის სახელოსნოების 32 მუშამ დაამთავრა რკინის გზის მუშფაკი, ე.ი. იმათ განვლეს 2—3წლის განმავლობაში დაზგასთან მუშაობის შეუწყვეტლად საშუალო სასწავლებლის კურსი და ახლა იმათ სრული უფლება და შესაძლებლობა აქვთ უმაღლეს სასწავლებელში შევიდენ. აქ მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ ბევრი ამათგანი უკვე ხანში შესულია და მოხუცებულთა კატეგორიას ეკუთვნის. განა ეს ფაქტი მუშათა კლასის ერთ დიდ მიღწევათაგანს არ შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების დროს? განა სხვა რომელიმე ხელისუფლების დროს შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ფაქტი? რა თქმა უნდა, რომ არა.

ჩვენ ვიცით რომ სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება მუშათა კლასის მიერ, კიდევ არ სწყვეტს საკითხს საბოლოოდ. საჭირო იყო და არის სახელმწიფო აპარატის სრული დაუფლება. ეს რას ნიშნავს? ბურჟუაზიამ ათეული წლების და საუკუნოების განმავლობაში შექნა სახელმწიფო მოხელეების და სპეციალისტების მთელი კადრი, რომელიც ჩვენ უნდა გამოგვეყენებია და რომელსაც უმეტეს ნაწილად მუშათა კლასის როლი სახელმწიფოს მართვაში არ სწამდა. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დადგა საკითხი ახალ სახელმწიფო მოხელეების მომზადებისა და შექმნისა.

ამ საქმეს ემსახურება მუშათა ფაკულტეტი; საგრძნობი ნაყოფი უკვე გვაქვს... მალე უფრო მეტ შედეგს მივიღებთ ამის საბუთი რკ. გზის მუშფაკის მაგალითია...

ის პირველად გზავნის თავის მსმენელებს უმაღლეს სასწავლებლებში. იმედია ისინი გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც მათზე ამყარებს საბჭოთა ხელისუფლება და მთელი მშრომელი ხალხი.

ა. ფ-ძე

***

კარგი იქნებოდა რომ ემიგრანტი მუშები ღრმად ჩაუკვირდებოდენ ამ ფაქტს...თუ „საუნივერსიტეტოდ“ არ მოემზადებიან, ყოველშემთხვევაში იმდენი ენერგია მაინც გამოიჩინონ, რომ „ოდესმე“ სამშობლო კერასთან დაბრუნებულებმა ტეხნიკურ-სპეციალური ცოდნა ჩამოიტანონ.

წლები მამინიზმის ქვეყანაში და მეტი არაფრის შექნა, პირდაპირ სამარცხვინოა სხვა რომ არა იყოს რა...

კომისრობისა და გვარდიელობაზე ოცნებას თავი მიანებეთ...რეალობაზე იფიქრეთ, მისკენ მიმართეთ მოქმედების გეზი, რომ ჩვენ მებრძოლ პროლეტარიატს, „გონებაზე მოსულნი“, გვერდში ამოუდგეთ და ცოდნით აღჭურვილებმა მშრომელთა საქმეს ემსახუროთ.

რედაქცია

კულტურული მუშაობა აჭარაში

აჭარაში მრავალი განსაკუთრებული პირობებია, რაც მუშაობის სიჩქარეს ანელებს. დღემდე ფუხარა ხალხს კლუბზე და ქოხ-სამკითხველოებზე წარმოდგენაც არ ქონდა და ასეთი ხასიათის მუშაობას ალმაცერად უყურებდა.

მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა მუშაობის მთავარი ხაზი მაინც ჩატარდა. მთელ აჭარისტანის მაზრის ცენტრებში ამჟამად არსებობს 6 კლუბი; ჭოროხის მაზრაში 2, დანარჩენ მაზრებში თითო

კლუბთა წიგნთსაცავებში მოიპოვება გლეხობისათვის საინტერესო ლიტერატურა.

მთელ აჭარაში 18—ქოხ-სამკითხველოა, სახელდობრ: ხულოს მაზრაში 6, ქედაში 3, აჭარის წყალის 2, ქობულეთის 4, ჭოროხის 3.

ყოველ კლუბთან და ქოხ-სამკითხველოსთან არსებობენ შემდეგი წრეები და კუთხეები:

ხულოს კლუბში: დრამატიული, აგრონომიული და გაზეთის ხმა-მაღლა მკითხველთა.—

ქედაში: დრამატიული, სალიტერატურო, აგრონომიული, პოლიტიკური და მომღერალთა. კუთხეები: ავიოქიმიის, ლენინის, წერკუმსის და პიონერთა გაერთიანებული ორგანიზაცია.

ქობულეთში: სალიტერატურო, დრამატიული, ფიზკულტურა, აგრონომიული და პროფესიონალური კუთხეები.

აჭარის წყალი: დრამატიული, პოლიტიკური და აგრონომიული. კუთხეები: ლენინის, ავიოქიმიის.

ჭოროხი: დრამატიული, ფიზკულტურის, პოლიტიკური, ჭრა-კერვის და ხელსაქმის. არსებობს პიონერთა ორგანიზაციაც. არის აგრეთვე საცდელ საჩვენებელი ბაღი. კუთხეები: ლენინის, ავიოქიმიის და წერკუმსის.

ჩეხეთ-სლოვაკეთის ტრანსპორტის მოხელეთა კავშირის მდივანი საქართველოში

საქართველოს ესტუმრა ამხ. ნაზე (ჩეხეთ-სლოვაკეთის ტრანსპორტის მომუშავეთა კავშირის მდივანი).

ამხ. ნაზე ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს სამხედრო გზით. პირველ დღესვე დაათვალიერა ზემო-ავჭალის იდრო-ელექტრ. სადგური, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, მამა დავითის გორა და სხვა... იმავ დღესვე ის ესაუბრა ამხ. შ. ელიავას მრავალ საკითხებზე: ურთიერთობა მუშებსა და მთავრობას შორის, განწყობილება საქართველოსა და სხვა მეზობელ რესპუბლიკებს შორის, საბჭოთა აღმშენებლობა, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა წინედ (მენშევიკების დროს) და ახლა და სხვა, რაზედაც მთავრობის თავჯდომარემ გასცა გარკვეული პასუხი.

ევროპაში დაბრუნებული ამხ. ნაზე ალბათ მიუდგომელ სიტყვას იტყვის ჩვენი ქვეყნის შესახებ. მით უარესი მენშევიკებისათვის.

ქრონიკა

სახ. უნივერსიტეტი

საქ. სახალხო კომისარიატმა პროფ. ჯავახიშვილის გადადგომის გამო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაამტკიცა თედო ღლონტი.

უნივერსიტეტის გამგეობის წევრებათ დამტკიცებული არიან შემდეგი პირები: დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, პროფ. შალვა ნუცუბიძე. პროფ. გ. მუხაძე, ისიდორე თალაკვაძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, პროფ. ალექსანდრე რაზმაძე, პროფ. კორნელი კეკელიძე, ი. ყიფშიძე, კოწია სულაქველიძე.

კანდიდატებათ: კ. ყიფშიძე, გ. ცხაკაია და ი. მონიავა.

სამეურნეო კრედიტი

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქართველოს და აფხაზეთის ბანკებს გაუხსნა კრედიტები შემდეგ საჭიროებისათვის:

საქართველოს ბანკს: მეთამბაქოობისათვის—180.000 მანეთი, მეღვინეობისათვის—133.400 მან. და მატყლის დამზადებისათვის—84.000 მან. სულ—397.400 მანეთი.

აფხაზეთის ბანკს. მეთამბაქოობისათვის—85.000 მან., დასამუშავებელ საშუალებათა გაძლიერებისათვის—17.000 მან., სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის—20.000 მან. და ხილისა და ბოსტნეულის დამუშავებისათვის—32.000 მანეთი. სულ—154.000 მანეთი.

საზ. «საქართველოს ჩაი»

საზ. საქართველოს ჩაი» შეუდგა ქობულეთში 2 ახალი ჩაის ქარხნის აგებას. ამავე საზოგადოებამ ჩაის სანერგეების და ჩაქვის სახალხო მამულების საჭიროებისათვის გადასდო 100.000 მანეთი.

კუმისის ტბა

უკვე გამორკვეულია, რომ კუმისის ტბას აქვს მრავალი სამკურნალო თვისება. რომ სამკურნალო თვალსაზრისით იქნას საბოლოოდ შესწავლილი ხსენებული ტბა და დაიწყოს მისი საქმიო გამოყენება, ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა კუმისის ტბასთან მეტეროლოგიურ სადგურის მოწყობას.

პოლიკლინიკა

15 აგვისტოდან ტფილისში გაიხსნება ცალკე წარმოების მიხედვით, პროფესნეულებათა შესასწავლათ და რადიკალურ ზომების მისაღებად, პოლიკლინიკა, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ გამოცდილი და ცნობილი ექიმები

კურორტი

არაზინდოს სანატორიუმში უკვე გაიგზავნა პირველი ჯგუფი დასნეულებულ მუშა-მოსამსახურეებისა; მეორე ჯგუფი გაემგზავრება 1 აგვისტოს.

წაღვერში გაიხსნა საკურორტო სამმართველოს პანსიონატი.

გაგრაში დასრულდა პოლიკლინიკის და წყლით მკურნალობის მოწყობა. გაგრის კურორტში მოეწყო ახალი 250 საწოლი.

ზოოლოგიური ბაღი

საქართველოს მონადირეთა კავშირი უკვე დიდი ხანია შეუდგა გარეულ ცხოველების შეგროვება-მოშენებას ზოოლოგიური ბაღისათვის, რომლის გახსნა განზრახულია თბილისში.

ჯერ-ჯერობით შეგროვებულია შემდეგი ცოცხალი გარეული ცხოველები:—ჯიხვი, მგლები, კაკაბი, დათვები და სხ. ამ დღეებში მოიყვანეს ორი დათვის ბელი.

ამ ზაფხულზე განზრახულია ირმების, გარეული ღორის, და არჩვების უცხო ეკზემპლიარების დაჭერა.

ახალი სტადიონი

საქართველოს პროლეტარულ სასპორტო საზ-ბა «დინამო»-ს სტადიონი უკვე თითქმის მზათ არის. ამ დღეებში მოხდება მისი საზეიმო გახსნა. გახსნის დღეს სტადიონზე გაიმართება ამხანაგური მეჯიბრი «დინამო»-სა და პირველი კატეგორიის ერთ-ერთ გუნდის შორის.

ტალახით მკურნალობა

ყოფ. ერეკლეს აბანოსთან მოეწყო ტალახით მკურნალობა; უკვე დღიურად სწამლობს 200 ავადმყოფი.

კასტერის სადგური

ქუთაისში პასტერის სადგური გაიხსნა.

თეატრი

სახელმწიფო დრამის დასი თავისივე დეკორაციებით და ტანსაცმელით ეწვია დასავლეთ საქართველოს, სადაც გამართა 50 წარმოდგენა.

ამჟამად დასი იმყოფება კახეთში.

ჩაის ფოთოლი

დამთავრდა ჩაის ფოთლის პირველი მოკრეფა, ჩაქვის და სალიბაურის პლანტაციებზე. მოსავალი საშუალოზე მეტია. ნავარაუდევია, რომ 350-400 ათას გირვანქამდე ჩაის ფოთოლი მიიღებიან.

გამომცემელი: სარედაქციო კოლეგია

Paris. — Imprimerie M. Berstein, 3, impasse Crozatier (12ᵉ) R. C. (Seine) 167.650 Le Gérant : L. BAR